

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

ვამტკიცებ შიდა აუდიტისა
და ინსპექტირების სამსახურის

უფროსი:

გივი კობერიძე



ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის
ბიუჯეტის შესრულების შიდა აუდიტორული
შემოწმების ანგარიში

ს ა რ ზ ე ვ ი

1. აუდიტის საფუძველი, მიზანი და მასშტაბი.
2. აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
3. აუდიტის პასუხისმგებლობა.
4. ანგარიში

1. აუდიტის საფუძველი, მიზანი და მასშტაბი.

აუდიტის საფუძველს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 მარტის N 42 10 განკარგულების მე-2 მუხლი.

აუდიტის მიზანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველკვარტალური, წლიური შესრულების ანგარიშის საკრებულოში განხილვისას გამოხატოს მოსაზრება, მერიის მიერ განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებზე, ამჟამად აუდიტის ობიექტს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და გაწეული მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

2. აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.

მერიის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესწავლის პროცესში საფინანსო სამსახურის მიერ, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია მერიის ყველა შესაბამისი სამსახური.

3. აუდიტის პასუხისმგებლობა.

აუდიტის ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობაა, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მერიის 2019 წლის წლიური ბიუჯეტის განმავლობაში განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში მოიცავს რიცხობრივ მაჩვენებლებს შორის ურთიერთთანაფარდობისა და სხვა მონაცემების გონივრულ შედარებას. ანგარიშის მომზადების ვადებისა და სხვა წინაპირობების გათვალისწინებით იგი ვერ უზრუნველყოფს სრულ საბუთობრივ შემოწმებას და შესაბამისობის სისწორის დადგენას განხორციელებულ გადარიცხვებთან.

4. 2019 წლის ბიუჯეტის საფინანსოს ანგარიშის მიმოხილვა

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის N77 დადგენილებით და განისაზღვრა 6 276,1 ათასი ლარით. 2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი საბოლოოდ განისაზღვრა 14 951,3 ათასი ლარით. ბიუჯეტმა განიცადა 19 ცვლილება, აქედან 9 ცვლილება შეტანილი იქნა საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად ხოლო 10 ცვლილება მერის ბრძანებების შესაბამისად. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა 01/01/2019 წლის მდგომარეობით შეადგინა 1 622,2 ათასი ლარი, სადაც მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 1 540,9 ათას ლარს, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი 3,7 ათას ლარს და ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრები 77,6 ათას ლარს. აღნიშნული 77,6 ათასი ლარიდან 76,446 ლარი იყო მუნიციპალიტეტის დეპოზიტზე განთავსებული. ნაშთმა საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ 01/01/2020 წლის მდგომარეობით 1 078,9 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხები - 628,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი - 3,8 ათასი ლარი, საკუთარი სახსრები - 446,7 ათასი ლარი.

01/01/2020 წლის მდგომარეობით არსებულ ნაშთში 648,1 ათასი ლარი არის ანგარიშებზე არსებული თანხა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემსრულებლებზე გადასახდელ საგარანტიო თანხებს- ჯამში 358,4 ათას ლარს (მათ შორის მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში - 279,0 ათასი ლარი; საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში - 79,4 ათასი) და შესასრულებელი სამუშაოებისთვის გადასახდელ თანხებს 289,7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 430, 8 ათასი ლარი არის დეპოზიტზე განთავსებული თანხა.

დეპოზიტზე არსებული 430,8 ათასი ლარი მოიცავს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სახსრების გარდა არსებული თანხების მიმდინარე პერიოდში არასაჭირო ნაწილს, რაც ძირითადად თავმოყრილი იყო ქონების გადასახადის დაგეგმილთან გადაჭარბებით შემოსული თანხიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული დაგეგმილთან შედარებით ჭარბი დღგ-ს შესაბამისი თანხები და ასე შემდეგ. დეპოზიტზე არსებული თანხიდან რომელიც ითვალისწინებს საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხაზე წლიურად 10%-ის დარიცხვას საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 37,7 ათასი ლარი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება,, ნაშთის გამოყენება) განისაზღვრა 14951,3 ათასი ლარით. შემოსულობების ფაქტიურმა შესრულებამ 15137,7 ათასი ლარი შეადგინა და 1.2%-ით გადააჭარბა გეგმით განსაზღვრულს.

დღგ-ს თანხა გეგმა იყო 5071,1 ათასი ლარი შესრულება 5375,2 ლარი შესაბამისად ზედმეტად შემოსული დღგ-ს თანხა შეადგენს 304,1 ათასი ლარს. ქონების გადასახადი თავდაპირველი გეგმა იყო 400 ათასი, ხოლო დაზუსტებული 740,0 ათასი ლარი, შესრულება 878,2 ათასი ლარი. 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 8 გრანტი, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 2 მიზნობრივი ტრანსფერი და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო გრანტი მზის პანელების შესაძენად. ცვლილებების შედეგად მისაღები გრანტების საბოლოო გეგმა განისაზღვრა 6384,9 ათასი ლარით და შესრულდა 99,5%-ით ანუ 6351,3 ათასი ლარით. მათ შორის რგფ-ის, სკოლების აღდგენის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, 2019 წლის სტიქიის აღმოსაფხვრელი, მიზნობრივი ტრანსფერის და მზის პანელების შესაძენად გამოყოფილი თანხები ათვისებული იქნა სრულად. ხოლო ასათვისებელი დარჩა სხვადასხვა სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხიდან 33,6 ათასი ლარი, რისი ძირითადი მიზეზიც არის მომწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ფაქტიურ შესრულებას შორის სხვაობა. სხვა შემოსავლები შესრულდა 95,7%-ით. მიღებულ შემოსავლებში შესრულების დაბალი მაჩვენებლები აქვს შემოსავალს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (40,5%), სანებართვო მოსაკრებელს (48,1%) და ჯარიმა/სანქცია/საურავებს (32%). მუნიციპალიტეტს არ გააჩნია კონტროლი ისეთ მუხლებზე როგორცაა ძირითადად ჯარიმა სანქცია საურავები, სანებართვო მოსაკრებელი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჯარიმები. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის მერე ხდება აღნიშნული ფაქტიურად შემოსული ჯარიმების საერთო თანხის კლება. სხვა შემოსავლებში არაკლასიფიცირებული შემოსავალი შედგება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან და წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებისგან, რომელმაც ჯამში შეადგინა 85,4 ათასი ლარი. არის როგორც დიდთანხიანი პირგასამტეხლოები (მაგალითად ამხანაგობა „ფარაონი და კომპანია“-ს დაეკისრა პირგასამტეხლო 23,0 ათასი ლარი) ასევე მცირე მოცულობის პირგასამტეხლოები.

არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსავლების პროგნოზი 348,1 ათასი ლარით განისაზღვრა. ფაქტიურმა შესრულებამ 45,8% (159,3 ათასი ლარი) შეადგინა. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია გამოცხადებული აუქციონების ჩაშლით. ფაქტიურ შემოსულობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა 38,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც პრივატიზაციით მიღებული ფაქტიური შემოსავლის 24,2%-ის ტოლია.

თანხის ძირითადი ნაწილი შემოვიდა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 102,6 ათასი ლარი, რომელიც დაგეგმილზე 205,5 ათასით ნაკლებია. მიწის (ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული) გაყიდვიდან დაგეგმილი 40 ათასი ლარის ნაცვლად შემოვიდა 56,7 ათასი ლარი. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული არასასოფლო მიწების გაყიდვიდან დაგეგმილი შემოსავალი იყო 30 ათასი ლარი, ხოლო შესრულება 17,3 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სასოფლო მიწების გაყიდვიდან გეგმა იყო 10 ათასი ლარი, შესრულება 0,9 ათასი ლარი. სულ აუქციონზე გატანილი იქნა 4 ლოტი, აქედან 1 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, 3 კი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, მასზე მდებარე ძირითად აქტივებთან ერთად. უნდა

აღინიშნოს ის რომ აუქციონის დაწყების და დამთავრების მონაკვეთი გამოყენებული არის 10 დღე, თუმცაღა შესაძლებელია მეტი ვადის გამოყენებაც, სახელდობრ აუქციონის გამოცხადების ვადა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის N115 დადგენილებით, რომლითაც შევიდა ცვლილება N669 დადგენილებაში მე-6 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: გ) ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო, რომელიც არ უნდა იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები და 30 კალენდარულ დღეზე მეტი.

მუნიციპალიტეტს თავის ბალანსზე რიცხული ქონების გაქირავებით და იჯარით უნდა შემოსვლოდა 30,9 ათასი ლარი. ასევე 2018 წლის დავალიანება იყო შემოსატანი 2,65 ათასი ლარი. მასში შედის მობილური და ინტერნეტ კომპანიების მიერ გარე განათების ბომბების გამოყენების გადასახადი. მასვე ემატება ქალაქის ცენტრში ყოფილი რაიკავშირის შენობის ფართის გაქირავება, დიშში არსებული სასადილოს გაქირავება და სხვა. სულ 2019 წლის განმავლობაში იჯარიდან და ქირებიდან შემოსავალმა შეადგინა 33,36 ლარი. არგადახდის შემთხვევაში ურჩი გადამხდელების სია გადაცემული აქვთ ზედამხედველობის სამსახურისათვის, რომელსაც ევალება შემდგომი რეაგირება.

2019 წელს 8 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 4 037, 288 ათასი ლარი. საკასო შესრულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 96,96 %. პროექტების მიმდინარეობისას ხდებოდა სხვადასხვა სახის აუცილებელი კორექტირებები, ამჟამად რგპფ-დან გასულ წელს დაფინანსებული ყველა პროექტი დასრულებულია, გარდა გარდამავალი სოფ. დიშის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობის პროექტისა, რომლის დასრულების ვადა არის 2020 წლის 12 სექტემბერი.

ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის #120 დადგენილების შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში 2019 წელს დაფინანსდა საექიმო ამბულატორიებისათვის შენობების რეაბილიტაცია .ორ ობიექტზე შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის ელოდებიან ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენას. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით დაფინანსდა 11 პროექტი, აქედან ერთზე სოფ. ნერგეთში მოქალაქე ლუიზა ინაკაძის საცხოვრებელ სახლთან დამეწყრილ მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობაზე მიმდინარეობს სამუშაოები, ხოლო დანარჩენი დასრულებულია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის საქართველოს მთავრობის 22/01/2019 წლის N45 განკარგულებით გამოიყო 346,0 ათასი ლარი რომლის ათვისების მაჩვენებელიც 100%-ის ტოლია. გარდა აღნიშნულისა მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსების ფარგლებში დამატებით გამოყო 63,8 ათასი ლარი რომლის ათვისებაც მაქსიმალურად მოხდა.

სოციალური სამსახურის მიერ სხვადასხვა სახის ფინანსური დახმარება გაეწია 2019 წლის განმავლობაში 1710 მოქალაქეს. ბიუჯეტიდან გამოყოფილი 457,0 ათასი ლარიდან ანაზღაურებულია 448, 6 ათასი ლარი , ხოლო საგარანტიო წერილებია გაცემულია 8,4 ათას ლარზე. ამის გარდა მერის სარეზერვო ფონდიდან სოციალური დახმარების მიზნით გახარჯულია 16 400 ლარი.

მერიის იურიდიულ განყოფილების მიერ 23 მოქალაქეზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები ქირით უზრუნველყოფის შესახებ. 2019 წლის 15 ოქტომბერს

მუნიციპალიტეტის მერიას გასაჩივრებული აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში მერიის ყოფილი თანამშრომლის ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილება და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას დაავალა აპელანტის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურის განთავისუფლების დღიდან ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ასევე უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებული იქნა მერიის ყოფილი მეორე თანამშრომლის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილება და განაჩენი გამოიტანა აპელანტის სასარგებლოდ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს 5 დავა მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სოფლების მიხედვით წარმომადგენლებს ერიცხებათ სხვადასხვა მასალები ჯამში საერთო ღირებულებით 177 ათასი ლარის, მათ შორის: საკრალა 13,2 ლარი, ხანი 0,6 ათასი ლარი, როხი 34,7 ათასი ლარი, II ობჩა 15,6 ათასი ლარი, I ობჩა 7, 5 ათასი ლარი, დიდველა 0,5 ათასი ლარი, ზეგანი 4,3 ლარი, ბაღდათი 6,3 ლარი, ნერგეთი 12,1 ლარი, ზედა/დიმი 7,2 ათასი ლარი, ქვ.დიმი 17,2 ათასი ლარი, ვარციხე 4,6 ათასი ლარი, როკითი 4,4 ათასი ლარი, ფერსათი 46,5 ათასი ლარი, წითლხევი 2,3 ათასი ლარი.

2019 წლის 30 მარტს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სახლის სახურავები. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის N986 განკარგულებით ბაღდათის რაიონს გამოეყო 200 ათასი ლარი სტიქიური უბედურების ძლიერი ქარისაგან დაზიანებული სახლების სახურავების აღდგენისათვის. შეძენილი მასალები გადაეცა მოქალაქეებს შესაბამის სოფლებში მერის წარმომადგენლის თანდასწრებით და შედგა შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტი. 65 მოქალაქიდან 17 მოქალაქეს აღნიშნული გადაცემული მასალები დამონტაჟებული არ აქვს და შესაბამისად ჩამოწერილი არ არის. აღნიშნულს ხსნიან იმით რომ მათი დიდი ნაწილი მარტოხელა და ეკონომიკურად შეჭირვებულია და ჯერ ჯერობით ვერ მოახერხეს მათთვის გადაცემული სახურავის მასალების დამონტაჟება. 1 მათგანს დაწყებული აქვს გადახურვა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის N2367 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით 200,0 ათასი ლარით, 67 მოქალაქისთვის სახლის სახურავების შესაკეთებლად შეიძინეს ხე-მასალა და პროფნასტილი. აქედან 3 მოქალაქეს ამ დრომდე არ გამოუყენებია გადაცემული მასალები და შესაბამისად ჩამოწერილი არაა.

მუნიციპალიტეტის მიერ ჩამოყალიბებულ ა(ა)იპებზე ჯამში სუბსიდიის სახით ფაქტიურად გაცემული იქნა 3 084,4 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებას ჯამური სუბსიდია 957,9 ათასი ლარი ფაქტიური ხარჯი 946,9 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ გაერთიანებას მიმდინარე წელს საკუთარ

ანგარიშებზე აღმოაჩნდა არსებული ნაშთი 5 903 ლარი, აღნიშნული თანხა ანგარიშზე მოყვება 2016 წლის 1 იანვრიდან. 2019 წლის განმავლობაში გაკეთდა 34 კმ ახალი სადენი, 3200 ნათურა ჩანაცვლდა დიოდური ნათურებით, მოეწყო 830 ახალი წერტილი, შესაბამისად გაიზარდა გარე განათების ქსელი და მის მოვლა პატრონობაზე გაწეული ხარჯებიც. გაერთიანების მიერ ამოღებული იქნა დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებელი 103,5 ათასი ლარი. 2019 წელს გაიზარდა დასუფთავების არეალი და მოიცვა 126 800 კვ/მ, რამაც ავტომატურად გამოიწვია ნარჩენების მოცულობის ზრდა და რაც წლის განმავლობაში 90 000 მ³ შეადგენდა. ქალაქის გამწვანებისათვის გამოყოფილი იყო 4,8 ათასი ლარი რომელიც ათვისებული იქნა სრულად და შეძენილი იქნა 434 ნერგი.

2019 წელს სულ განათლების მხრივ გამოყოფილი იქნა 1 557,3 ათასი ლარი. აქედან სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანებას გამოეყო 1 148,1 ათასი ლარი, ხარჯი 1 143,2 ათასი ლარი. სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამა 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას პრიორიტეტების დოკუმენტით არ იყო გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტში დამატება და განხორციელება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით რომლის ფარგლებშიც გამოიყო თანხა საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. მოსწავლეთა ტრანსპორტირების საერთო ღირებულებამ 120,6 ათასი ლარი შეადგინა. გარე განათების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი იქნა 181,9 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 175,7 ათასი ლარი. ამას დაემატა ის რომ 2019 წლის მაის-ივნისის თვეში მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მოსწავლეთა საექსკურსიო ტრანსპორტირებისათვის გაწეული იქნა გარკვეული ხარჯები, რომელიც დაფინანსდა 13,5 ათასი ლარით.

ა(ა)იპ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის გამოყოფილი და საკუთარი შემოსავლების გეგმა იყო ჯამში 717 ათასი ლარი ხარჯვამ შეადგინა 656, 8 ათასი ლარი. ცენტრში აღდგა თოჯინების თეატრი, ქორეოგრაფიული ანსამბლი „როდოპოლისი“ გახდა ოქროს არგოს გრამპრის მფლობელი, 2019 წელს გაიხსნა სოფ. 2 ოზრის ბიბლიოთეკა. ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა მოემსახურა 1006 მკითხველს და მათზე გაიცა 18117 სხვადასხვა სახის ლიტერატურა.

ა(ა)იპ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა 293,5 ათასი ლარით რომელშიც ასევე შედის მათზე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გადაცემული გრანტები, არსებული თანხიდან გახარჯული იქნა 293,3 ათასი ლარი.

2019 წლის 9 სექტემბერს ა(ა)იპ “საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასა” და თვითმმართველ ერთეულ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას შორის თანამშრომლობის შესახებ გაფორმდა მემორანდუმი. მემორანდუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი გახდა ასოციაციის წევრი, აღნიშნული ასოციაცია ვალდებულია კისრულობს რომ დაეხმარება მუნიციპალიტეტს და ხელს შეუწყობს ბიუჯეტის ფორმირებისას, რათა აღნიშნული პროცესი წარიმართოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღიარებული სტანდარტების მიხედვით, ასევე გაუწიოს დახმარება კორპორატიულ წევრს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში, უზრუნველყოს კორპორატიული წევრის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და მოხელეთა სწავლების ორგანიზება,

მეთოდოლოგიური, სამეცნიერო, კვლევითი და სარეკომენდაციო მასალების გამოცემა და გავრცელება და სხვა. აღნიშნული მემორანდუმი მოქმედებს 4 წლის განმავლობაში ან კორპორატიული წევრის დადგენილი წესით ასოციაციის წევრობიდან გასვლამდე. წევრის მიერ განსახორციელებელი ყოველწლიური საწევრო შენატანის ოდენობა შეადგენს 20000 (ოციათასი) ლარს. 2019 წლის ოქტომბრის თვეში აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე დაწყებული იქნა აქტივების აღრიცხვიანობა და მოწესრიგება, ჩატარებულია სამუშაოების პირველი ეტაპი, აღრიცხული იქნა მუნიციპალიტეტის ქონება (აიპების გარდა), ხოლო რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების ქონებას მათი აღრიცხვა იგეგმება მომავალში. ინვენტარიზაციის და აღრიცხვიანობის ჩატარების დაუსრულებლობის გამო მერიასთან არსებულ ა(ა)იპებზე მიუხედავად მათი არაერთგზის მოთხოვნისა არარის მათზე გადაცემული ქონება.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის

უმცროსი სპეციალისტი:



უ.გელხვიძე